და ირაელისა როგორმე მოვკლავ!!

---

თავ-ზარი დასცა რამაზის ამ სიტუამ,  
თვალთ დაუბინელდა ამას გამგონსა!...  
ბოლოს გულ-მტკივნად დუვანს მიმართა,  
ორცა მოვიდნენ არივე გონსა;

— არა, არ იზამ, შენ, ჩემო ლევან,  
ამ ცოდვით სავსეს საქმეს საზარელს!  
ირაელის სისხლით ნუ თუ იუიდი  
მისა მტრად ანთებულს შენსა საუფარელს.

არა! ჩვენ უნდა გადავარჩინოთ  
ბატონი-შვილი იმ შესმიან გველს,  
იმ მშენიერ ქაჯს, სულის ჭალათსა,  
ეშმაკს ხორციელს, კაცო მაცუნებელს!

— რამაზ! გახსოვდეს, მე იგი მიუვარს  
იგია ესლა ჩემი ცხოვრება  
და ჭავარს წარბია ვერვინ შეუხრის,  
ვიდრე ლევანი ცოცხალ იქნება.

ჩემი გაება და ჭოჭოხეთ,  
ჩემო რამაზო, იმაში არა,  
რომ თრში ერთი უნდა ვინჩიო,  
ანუ ირაელი, ანუ ჭავარი.

შექმნითა რამაზი ამის გამგონი  
გული მოუკედა და შეძირა  
და ბოლოს უთხრა: მაჩვენე ქალი,  
მე მოგიხერხებ საჭმეს სხვა გვარა.  
— თუ მაგას მიზამ, ახლად დამბადებ  
და აღმაღგინებ მკვდრეთიდა მკვდარსა.  
სკალებ წავიდეთ ავარიაში  
და იქ გაგაცნობ ჩემს გულჭავარსა.

## პ. ცაგარელი.

(დასასრული იქნება).

## ჩართული თეატრი

ჩვენი წერილების საგანი თეატრის არსებობაა. «დროების» გამოლაპარაკება ჩვენთან წერილმანობაზე. ძილი დრამატიულის საზოგადოებისა. მას თვისი გაუქმება ცწადიან. მისი ვალდებულება. საჭიროა გამოლვიბება.

უოკელს საგანს, რასაც კი რაოდენიმე მნიშვნელობა აქვთ ცხოველებაში, მწერლობა თავს დასტრიალებს მოუწილებლად. თუ საგანი მომატებულად მნიშვნელობიანია, მწერლობა უმეტესად უკრალებას აქცევს, თუმცა კი ესეც უნდა ვსთქვათ, ზოგჯერ იქნება იმისთანა უბედური, შემთხვევითი ანუ მუდმივი, მიზეზები და გარემოებაც მოსდევდეს, რომ უოკელად უსაჭიროესა საგანზედაც სმა არ ამოიღოს. ათასს გვარ საჭიროებათა შორის ერთი ფრთად დიდ მნიშვნელობიანი საჭიროებაც თეატრია. ამიტომ უოკელ ეპროპიულ და რუსულ უურნალ-გაზეთის ფურცლებზე დღე მუდამ ვხედავთ მრთელს ტრაქტატებს, რეცეზიებს, ქრიტიკას და ბევრ-გეარ წერილებს თეატრის შესახებ. მაშასადმე სცენას დიდი, ძლიერი მნიშვნელობა ჭრიანა, რომ მწერლობა ასეთის გაფაციცებით მუდმივად თვალს ადგნებს.

ჩვენში არავინა ცილობს თეატრის მნიშვნელობაზე, მაგრამ გულგრილობა კი უოკელის მსრითა სჩანს, თუ მწერლობის და თუ საზოგადოების მსრით. ჩვენის წინა წერილების

საგანი იყო, რაოდენადმე უურადღება მიგვმეტია თეატრის საქმეზედ. კეცადეთ სცენის ისეთ მსარებელები გველაპარაკა, რომელსაც ეჭირება გამორკვევა და მოსაზრება ლიტერატურის მხრით. ვთქვით, რომ მწერლობას მოეთხოვება შექსოს უფრო ცნობიერად და განსაზღვრით ამ საქმესა, ასწონოს და მოიპოვოს უფელი ღონე მისის განმტკიცებისათვის, დახმარებისათვის, მისის უზირკველესის საჭიროებისათვის, — ერთის სიტყვით, ჩვენი აზრი შექსებოდა თეატრის ბეჭდისა და არსებობასა.

ჩვენ უგელანი კენედავთ ქართულის თეატრის სუსტის მდგრადარებასა. ამას დახმარება და შემწეობა ეჭირება. დახმარება და შემწეობა შეიძლება, როდესაც სცენის საჭიროება გამოიწვევი გბეჭება, აწონილი და დაივასებული. ვისი ვალდებულებაა ეს დავასება და გამორკვება, თუ არ მწერლობისა? ამ ამას ვლალადებდით და ვიწევდით მწერლობას მოქსედნა ამ საგანისათვის.

ჩვენი ხმა, ჩვენი აზრი გერ გაიგეს. ანტრეპრიზაზე სიტყვა ვთქვით და მხოლოდ ამ ერთს საგანს ჩააცილდა «დროების» წერილები და გამოგელაპარაკა გაკრით, რომოდე სიტყვით, მარტო ანტრეპრიზაზე. და რა სახით გამოგელაპარაკა? ულევი დედა აზრს პირი მოარიდა და წერილმანს შენიშვნებს მოაწიდომა თავისი მსჯელობა. ჩვენ ვლაპარაკობთ თეატრის არსებითს საგანზე, — «დროების» წერილები ჩვენის ენის აღნაქვაზე დაპარაკობს, ნიმუშები მოჰყავს ჩვენის ულოდივობისა, ერთ თვეში კერ ისწავლიდით ასე წერასაო, სხვის ნაწერიაო თუ შალაშინ გაკრულიო; ჩვენ კამიობდით, მწერლობა კარგის განსჯით, მოსაზრებათ უნდა ეპურობოდეს სათეატრო საგანსა და არ აჭერეს არტისტების ანუ საზოგადოების უაყანსა მეთქი, — «დროების» წერილები ამას დახახანურ ჭორივანაობას

და ზნეობითს უფაქიზობას უწოდებს. ეს რასა ჰგავს? გაუგებ-ობას, თუ განზრახ სიტყვის ბანზე აგდებას? ნუ თუ მართლა ჰეთებს ჩენც აგვიყოლით ამ წერილმან ლაპარაკითა, იმედი აქვს გავაძათ საუბარი ამ წერილმან, უთვლად უმნიშვნელო საგნებზე იმიტომ, რომ დაკანხვოთ დღროებისა მეფელტონებს მისი მედიდურობის სიფუურ? ნუ თუ მკითხველებს იმოდენად სიფაზზე დაკარგულებად უნდა ვთვლიდეთ, რომ ჩენს წერილებში ნათქვამის აზრები თეატრის შესახებ, გავიმეოროთ და დავიცვათ მათი ზნეობითი სიფაზზე; დაკანახვოთ დაწერილებით, რომ არავის პიროვნებას და კერძო ცხოვრებას არ შევხებივართ? ჭეშმარიტად სათავილოა ამაზე ლაპარაკი. მასუგან, დღროებისა ფელტონი დიდს გამოძიებაშია, ვისი ნაწარმოებია ღვერისა მეორე ჩენი წერილი, და ისე გამოჭევავს, ვითომც პ—ისა კი არ იყოს, რედაქტორის ილია ჭავჭავაძისა იყოს, თოთქოს ქართულ ანბანის 39 ასოში გაჭირდა სხვა ასოს მოძებნა; ნუ თუ მართლა ესეც რისამე აზრის დასამტკიცებელ საბუთად საჭირო იყო? კიდევ წერილმანობა, საბრალო წერილმანობა! ჯერ პირველად, რომ თუნდაც რედაქტორის ნაწერი უოფილიყო, ამით არც არა მოემატებოდა და არც არა და-აკლდებოდა გამოთქმულ აზრებს. მაგრამ მეფელტონის გულის დასამშვიდებლად დაჭეშმარიტებით გიტუვით, რომ არას დროს არ დავუმობდით ჩენს ხელ-მოწერილობას სხვის წერილსა, თუნდა შექსპირი უოფილიყო მისი დამწერი, თუნდა ლესინგი. \*) ჩენ იქნება ჩენი ნაელულება გვითხევნოდეს. წერილს

\*) «დროების» რედაქციის მოვაგონებ, რომ ამ ახლო ზანებში ურთი ლექსი ხელ მოწერილი ასო პ—ით ჩენი არ იყო და მიიღოს შედევლობაში, მეტადრე იმიტომ, რომ განსვენებულის ს. მესხის რედაქტორობის დროს «დროებაში» ამ ასოს ხელ-მოწერით ჩენი წერილი იქციდებოდა.

რად ეჭირებოდა სახელის გადაბრუნება, არ გვესმის? იგი და-  
შევიდებულის კილოთი იურ ნაწერი და საფუძვლად მხოლოდ  
ერთის ჭეშმარიტის აზრების გამოთქმა ჰქონდა. თუ «დორებისა»  
შევესეთ, ეს შეხება იყო ზრდილობისას და მართებულის წესით,  
როგორც კი შეშვენის უოკელ მართებულს მწერალს და მწერ-  
ლობას. ჩმ მართებულობას თავით ბოლომდის ნაწერში უო-  
კელოვის დამეჯარებას ამ სტრიქონების დამწერი და კალადაც  
მიაჩნია უოკელ პატიოსან მწერლისათვის. ამას გარდა მხედვე-  
ლობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ჩვენი ორიოდე  
დროგამოშებითი უურნალ-გაზეთები იმისთანა ურთიერთობით  
არიან გადაბმულნი ერთმანერთთან და იმისთანა გარემოებაში  
არიან, რომ უოკელად უხამსოდ მიაჩნია ამ სტრიქონების დამ-  
წერს მათი ერთმანერთთან მკაცრის, თავ-გასულის შოლემიგუ-  
რის კილოთი ლაპარაკი და ცილობა. შოლემიგა შეიძლება,  
მაგრამ თავ-დაჭირილი, მშვიდობისა და გულ-დაწერნარებული.  
ვიცით, რომ მომატებული ნაწილი მწერლებისა უკელა ჩვენს  
უურნალ-გაზეთებში თითქმის ერთი და იგინივე არიან. მაშა-  
სადამე მკაცრი შოლემიგის კილო წიწლივანაობად გარდიგვევა  
ორს დღიუვე. საჭმე სხვა იქნება, როდესაც ჩვენი უურნალ-  
გაზეთები ერგა წარმატებაში შევლინ თვისის შინაარსით და  
რიცხვით, მწერლების გამრავლებით და მაღით. ჩა ამ მიზეზებით  
ჩვენს თავს ნებას არ ვაძლევდით და აუც მიუსცემთ, რომ წე-  
რის კილოს მკაცრი ფერი მივსცეთ.

მაგრამ გმარა ამ წერილმანობაზე შეჩერება.

უმთავრესი დედა აზრი ჩვენის წერილისა, როგორც  
გსთვევით, თეატრის ბედს, მას გამტკიცებას უკუთვნის; ანტრე-  
შრიზაზე ლაპარაკიც მას უკუთვნის და სხვა მოსაზრებაცა. ტეუილი მეცადინებისა დოროებისა წერილისა, როდესაც იმე-

ორებს, ორმ კითომც ანტიუპრენიორის ბ. ნებიერიძის მო-  
მსრეობით გვიწეროს ჩვენი წერილები. ამაზე ჩვენ სათქმელი  
კოტეკით და იმისა გამესამება ამათ ლაპარაკი იქნება. გავიმეო-  
რებთ მსოლოდ იმ აზრსა, რომ ჩვენს მწერლობას დააღ კარ-  
გა მუცადინება ჭმართებს, კარგი სიფსიზლე, რომ თეატრის  
საჭმე არ მიუწდეს, არ მიეძინოს და ბოლოს სრულებით არ  
შესწყდეს.

ამისათვის მას თვალ-უურის შიდევნება ჭმართებს, გამორკვევა  
სცენის საჭმების საჭიროებისა და თვისის ურთიერთობის გან-  
საზღვრა ამ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის; ესე იგი კარ-  
გად უნდა განსაზღვროს, რა რიგათ მოეწყრას სათეატრო  
საგანს, გამოარკვიოს მისი უოფნის, არსებობის უპირკელესი  
საჭიროებანი და ღონე გამოსძენოს მის დახმარებისათვის.

ეს დახმარება და ხელის შეწყობა მარტო მწერლობის  
კალებულება არ არის. ჩვენ აგერ ათხი წელიწადია ერთი და-  
წესებული საზოგადოება გვაქვს, რომლის განსაკუთრებული სა-  
განი თეატრია; ერთი განსაზღვრული საჭმე აქვს აჩენილი და  
სამუშაო. წინათ წერილებში შევეხეთ ამ ჩვენს დრამატულს  
საზოგადოებას გაკვრით, და იმედი გვჭრნდა რამე შენიშვნას  
ათქმევინებდა ან «დროებას» ან საზოგადოების თავსმჯდომა-  
რეს. მაგრამ ამ ერთმა თვემ გაიარა და სიჩუმე, საკვდავი სი-  
ჩუმე მშრძანებლობს. ნე თუ ბოლო აღარ ექნება ამ გულ-გრი-  
ლობას? დრამატულის საზოგადოების მმართველობა უურს არ  
იძერტებავს, თავსმჯდომარეს, როგორც ნამდვილად შევიტევთ,  
მარტამდე თურმე არ უცოდინებია მმართველობის წევრებისა-  
თვის ჭრისტიშობის 30 დადგენილი გადაწყვეტილება; საზო-  
გადოების წევრები მმართველობას შესჩერებიან და საჭმეს ელიან,  
მოქმედებას მისგან ელიან. უთველივე ესე რასა ჭგავს? დაცინ-

კა საზოგადო საქმისა, თუ საზოგადოების გაუქმება სწა-  
დანონ?

ესეთი იმედი არ გვქონდა საზოგადოების პირველ და-  
ფუძნების დროს: უკალას ეგონა რომ იგი სიცოცხლეს გა-  
მოიჩინსო, ხელს შეუწყობს სცენის საქმისათ, წარმატებაში  
შეიუგანსო და დაამკვიდრებს კარგს მაგარ საფუტებელზედაც. წეს-  
დება კარგი მოსაზრებელი შეადგინეს, მმართებლობაში დაამტკი-  
ცა, ასლა მუშაობა უნდოდა. მაგრამ საზოგადოებაში თავის  
მმართებლობაში ამოარჩია ისეთი კაცები, რომელნიც სხვა სა-  
ქმებით იუკნებ დატვირთული და იმდენი ღონე გერ იქანიეს,  
უარი ეთვათ, ჩნუ იმედი ჭირნდათ საქმეს ითლად წავიღებოთ;  
ამიტომ აჩანჩალეს სამი წელიწადი.. მათი ანგარიში ჯერ აქა-  
მომდე დაბეჭდილი არ გვინახავს, თუმცა ეს წინახდელის; ან  
მის შემდეგის, ენდანდელის მმართველობის ვალდებულება იყო.

სამწუხარო იყო ეს გარემოება რომ პირველსავე ხანში  
საზოგადოებას უსაქმობა და უღონობა თან დაკუვა. მას ცოტა  
ოდე ფული გარდაეცა წინათ უოფილ თეატრის კომიტეტისა-  
გან; გარდაეცა ბიბლიოთეკა და გარდერობა. მან პირველს სან ში  
ანტრეპრიზა გამართა, მაგრამ რავი ფული გამოელია, ანტრე-  
პრიზა, რასაკვირველია, მოიშლებოდა. მმართველობაში ადარ  
იზრუნა რამე წარმოდგენა ან საღირეატურო საღამო  
გაემართა და ღონე ეპოვნა ცოტაოდენის ფულის შეკრები-  
სათვის, რომ ნახევარ წლობით ზამთრის სეზონში მაინც ან-  
ტრეპრიზა დაქნიშნა და მეორე ნახევარს წელს რამე შემწეობა  
მიეცა არტისტებისათვის სხვა ქალაქებში წარმოდგენების გა-  
სამართავათ. ამ უზრუნველობისა გამო აგერ რედ წელიწადი  
გავიდა და მისი დასმარება, კარდერობის გარდა, არასფერით არა  
სჩანს. თვით ეს გარდერობიც და ბიბლიოთეკაც მსეთს მდგრა-

მარკაშაბა, რომ მალე არათად უნდა შეითაცხოს, რადგანაც  
არც მოვლა აქვს, არც შეკეთება, და შემატებას ხომ ვიღა სჩი-  
ვის.

შარშან ზაფხულს «დროებაში» წერილების გამოწვევაზ  
ბოლოს შეაკრებინა მმართველობას საზოგადოების ყრილობა  
და ამ ურილობაში მოხსენებულ იქმნა შემოვლებული ანგარიში.  
მაშინვე იქმნენ ახალი წევრები და საზოგადოების მმართველო-  
ბა ამორჩეულნი. სამწუხაროდ ეს მმართველობა წინანდელზე  
უფრო უდონო და უსაქმო გამოდგა. მას აქამომდე კურ შეუ-  
კრება მმართველობის წევრები. წინა წერილში მოვიხსენეთ მი-  
სი ამბავი და დღვეუნდლამდე თავსმჯდომარე მაინც სიჩუმეს  
არჩევს. მას ადვილად შეეძლო თვისის კალდებულების აღსრუ-  
ლება, საჭირო იყო «დროებაში» რამდენჯერმე გამოეცხადებინა  
თვისი მოწვევა მმართველობის წევრებისა, და იმისათვის, რომ  
დიდი ხანი არ მოსდომებოდა მოცდისა, გადაწევეტილი კადა და-  
ნიშნია, თუ კანიცობაა ამა და ამ კადაზე პასუხი არ მივიღეთ,  
წევრის უარ-უოფად ჩაითვლება მმართველობაში მისგან მონაწი-  
ლეობის მიღებაზე. ამ საზოგადო გაზეოთში გამოცხადებასთან  
ადგილი იყო წერილებით ცნობა საკუთრად უკულას სახელობა-  
ზედ.

ბოლოს ამასაც დავსძენთ, რომ საზოგადოების მმართვე-  
ლობის გარეშე წევრებისაც ზორუნვა ყმართებისთ. წევრებს უფლება  
აქვს მოსთხოვონ მმართველობას საზოგადო ყრილობა. მო-  
ახდინოს, და უარის მთქმელ მმართველობის წევრების ნაცვლად  
ახლები ამოარჩიონ. ბოლო უნდა ჭრონდეს საზოგადოების  
ძილისა, თუ არა?

განახლება მმართველობის მოქმედებისა უოვლად უსაჭი-  
როება საგანია ამ უამად. ენგუნისთვე ძალიან შორის არ არის.

მართალია მოძავალ ღვინობისთვეში აპირებს მოქმედებასა ან-  
ტრეპირიზა, ომელმაც ამ ნააღდგომებს ერთ თვეს დაიწყო  
უკვე შრომა, მაგრამ გვითქვეს წინათ, ომი რაც უნდა ფულია-  
ნი ანტრეპირიზა იყოს, მას დახმარება ეჭირება. უოკელთვის-  
ანტრეპირიზას მეტი ხარჯი ეჭირება შემოსავალზე და თუ ამას  
დრამატიულმა საზოგადოებამ ხელი არ შეუწეო, მალე გაუქმდე-  
ბა და ბოლოს აღარავინ ივისრებს ამ შრომასა და ხარჯსა.

ეს ზრუნვა საზოგადოებას არას დროს არ ასცდება. მა-  
შასადამე მმართველობისათვის კარგი მშრობელი თარისანი, ინი-  
ციატივაზანი წევრების ამორჩევა ეჭირება საზოგადოებასა. უოკე-  
ლივე ბრალი და უღონობა მმართველობისა თვით საზოგადოე-  
ბის ბრალია. წევრების ძალად ამორჩევა უანგარიშობაა, ოდე-  
საც მათ ან ნებით, ან უნებურად არა სურსთ მონაწილეობის  
მიღება; აგრეთვე უაზრობაა კაცის დაუკითხველად ამორჩევა,  
როგორც მოხდა წარსულ ზაფხულს. ამითონისეს გაცემი და  
დაკითხვით ჭერ ეხლაც კი ჭერ მოუხერხებია თავსმჯდომარეს,  
რომ პასუხი მიიღოს მათგან, სურთ თუ არა სურთ მონაწი-  
ლეობის მიღება? უგუნურობაა ქალაქ გარეთა მცხოვრებელთ  
მმართველობის წევრებად ამორჩევა, ოდესაც ამ მმართველობას  
ბინა თბილისში აქვს და მედამ საქმეს აქვთ თავს უნდა დას-  
ტრიალებდეს. ამ უკელა საანბანო ჭეშმარიტების საკვირველი  
მიუხედობდებოდა საზოგადოების მხრით და უოკელვე უსაქმო-  
ბა აქედამ წარმოსდგა; მამდასადამე ბრალი როგორც მმართვე-  
ლობის წევრებს ედებათ, იმდენადეს საზოგადოების უკელა წევ-  
რების. სამწუხარო და სააღველო ის არის, რომ ამოდენა წევ-  
რებში თრიოდ ხალისაანი კაცი როგორ ჭერ გამოჩენილა აქა-  
მომდე, რომ შეაგულდანოს სსკები და გამოაღვიძოს ლრმა ძი-  
ლისაგან! თუ კი კაცი რომელსამე საქმეში მონაწილეობას, წევ-

რომას კისრულობს, მოსაზრებაც უნდა იქონოს, ოთიმე და-  
კეხმარო ამ საქმესაც. თუ სახელი წევრისა აქვს, კალდებულე-  
ბაც უნდა თავს იდგას. ჩექეში თურმე ეს ასე არ ყოფილა. —  
უბრალო საწევრო ფულის შეტანა და მისი მიღებაც, მოგრე-  
ფაც კა გაძნელებულა. — დრამატიული საზოგადოების არსებობა  
ჩეუნ მეტის მეტად თვალსათვალ გვაჩვენებს, რა ზარმაცი სა-  
ზოგადოება და რა კვართ მოთავები ჰქავს ამორჩეული თვის  
საქმის გამძლოფად. მისი არსებობა და ლუაწლი გვაჩვენებს,  
რომ თურმე საქმე კა არ გვდომებია, მარტო სახელი გვდომე-  
ბია; სახელი არის პრეზიდენტისა და სახრავი კა არა; სახელით  
საზოგადოება არსებობს და მისი მოქმედება კა არა სჩანს.

რა გვექინება. ახლა, რომ ამ საზოგადოებამ სიცოცხლე-  
გამოიჩინოს, როგორ და როთა დაკემაროთ მისს გამო-  
ვსიზლებასა? სხვა ღონისძიება მწერლობის არა აქვს, უნდა  
მოუხშიროს მასზე ლაპარაკებ და მისის მოღვაწეობის ვრცელად  
ვარჩევასა. აქამომდე მხოლოდ შარშან, საზოგადო კრების ამო-  
რჩევის მოახლოვების დროს «დროებამ» ილაპარაკა. ეს ლაპა-  
რაკი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის სრულებით დავიწყებო-  
და მმართველობას თვისი კალდებულობა ანგარიშის წარმოდგე-  
ნისა, საზოგადო კრების მოხდენისა და ასაღის მმართველობის  
ამორჩევისა? ძალიან შეცდომა მოუხდა «დროებასაც» და «რე-  
რასაც». რომ მაშინდელს ამორჩევაზე კრცელი ანგარიში არ  
დაბეჭდა და მას შემდეგ მუდამ ჩიჩინი მოაკლო: რა თუ სა-  
ჭირო და როგორი დახმარებაც ეჭირებოდა საქმის უკეთესად  
მართვისათვის. აქამომდე მწერლობის ბრალი ადეკს სიჩუმეზე  
და ახლა კალდა უნდა გადისადოს.

ნამდვილად ურკელს საქმეში ასეა; რომელიცაც მწერლობა  
თვალ-უურს არ არდევნებს და არ ჩასჩიჩინებს საზოგადოებას.

მაგალითად თვალ წინ წერა-კოსტიუმის საზოგადოების მოქმედება გვიჩვეს: მწერლობის მუდამ დაპარაგმა, საზოგადოებასაც და-სახვა მოქმედება, ანგარიშების ბეჭდვამ მისი ღვაწლი და მაღ-მალ მასზე დაპარაგმა მოუპოვა სახალხო შემწერას და დასმა-რება. უკანასკნელს სანებში ვნასეო, რა ზატიოსნერი, რა სა-ზოგადო მშეწიერი თანაგრძნობა აღმოუჩინა სალება ამ სა-ზოგადოებასა.

მართალია, ჩვენ გვიპასუხებენ რომ ამ თანაკრძნობის გა-მოწევისათვის თვით მმართველობის გამჭვირახობამ და საქმია-ნობამ სელი შეუწყოვო. დიალაც, ქება და ჰატივი გეუთვის მას, მაგრამ მწერლობამ, «დოროების» წერილებმაც რომ სელი შეუწყო, ამაზე კერავის იტუკის უარსა. სწორედ ამ გვარიე მექანისა მოეთხოვება როგორც დრამატიულის საზოგადოების მმართველობას, აგრეთვე მწერლობასაც. მაგრამ რადგანაც მმართველობას სძინავს, მწერლობას სიცხიზლე ჭმართებს და კამოლევიძება მძინარეთა.

რა უძეეს წინა ამ ასლობელს სანებში საზოგადოების მმართველობას გასაკეთებელი, ეს გაკვით მოვიხენეთ. უპირვე-ლესი საფიქრებელი ფულით დასმარებაა სამის საკისა: მომა-ვალის შემღებელის ანტრეპიზისა, თვისის გარდერობის და ბიბლიოთეკის მოწყობისათვის; ამას მომზადება ეჭირება და მომზადებას მოვიქრება და მეშვანია. ეს სამი საფანი აქვს და სხვა საგნები, მაგალითად ასალი წარმოსადგენის შექების მო-შოება, დრამატიულ თხზულებებისთვის პრემიების ძლევა, ან დასის მართვა და გამუებლობის დანაშვნა ჯერ-კერობით მას არ შეუძლია, ღონე არ ექნება ხელი გააწვდინოს. თუ მო-სხენებული სამი საფანი რაოდენადმე დაკმაყოფილა, მაღლობე-ლი ვიქნებით ამ პირველს სანებში.

დრამატულ საზოგადოების მმართველობას დად დანა-  
შაულობად ჩაეთვლება, თუ იმით დაკმაყოფილდება, რომ ახლა  
რაღა თავის გაცხელება გვექინება, რავი ანტრეპრიზა გამოჩენდა  
ასლავება და მომავალს შემოდგომასაც გვპირდება წარმოდგენე-  
ბის გამართვასათ. შეცდომა იქნება ესეთი მოუსაზრებლობა.

ამ რათა: ჯერ პირველად, ანტრეპრიზას გარდა, მას  
ბიძლითოთებას და მეტადრე გარდერობის მოწყობა დიდად ეჭი-  
რება.

ჩვენ წინა წერილებში გავურთ მოვასსენეთ, რომ ბიძ-  
ლითოთება, ეს უოვლად საჭირო კუთხით დრამატიულის სა-  
ზოგადოებისა, ცუდს მდგრმასებობაშია. წინათ შეკრებილი წიგ-  
ნები რესულსა და ქართულ ენაზე გაფანტულია და დაკარგუ-  
ლი; საჭიროა მასი შეკრება და შევსება. ესლანდელს ანტრე-  
პრიზიორებს უჭირთ, მართლა თითო კაცისათვის ძნელია, რომ  
უოველივე პიესები რესულად ან სხვა ენებზე დაბეჭდილება-  
შეიძინონ. ეს წიგნები საზოგადოების ბიძლითოთებაში შეკრება-  
ლი, მათ ღონის ძიებას მისცემს გადმოსთარების და არტი-  
სტრებს აკითხულნონ კრისტიულის მწერლობისა. ამავე  
ბიძლითოთებაში არც ერთი სასცენო უურნალ-გაზეთი არ  
მოიპოვება, რომ ანტრეპრიზიორის და აქტორების შემძლისთ  
თვალ-ური აღვნონ სასცენო საქმესა. შემდეგ მასში არ იყო-  
ბება ქართული სელ-ნაწერი რეპერტუარი, რომელიც უკიდულად  
უნდა ინახებოდეს სამუდამოდ. ამ რა მდგრმარეობაშია საზო-  
გადოების წიგნთ-საცვა. გარდერობიც ისეთს მდგრმარეობაშია,  
რომ რეილი შემდეგ აღარაფერის გამოსადეგი არ იქნე-  
ბა. პირველ მოპოების აქეთ ტანისამოსი დაბეჭდია, მატულეუ-  
ლი წახდა და აბრეშუმეული დანულდა; გამზევება დადგი ხანია  
არ ჰქიმისებდა, მროველი თვეები მტკერში და ნოტიოში ჭრდა,

სამასი თუმნის ქონება სანაგებზე გადასაყრელსავით მოუკლელია. ამა იფიქრეთ, რა წვალებით და ვაი-ვაგლასით შეძენილი ასეთს უოვაში უნდა დარჩეს? თუ პირების ხანებში ადგილი იყო მისი მოშორება, როდესაც თეატრის კომიტეტს თავად-აზნაურობის ბანებისაგან შეწირული ფული ჭრონდა, განახლებული სცენა სალსს ისიდავდა და შემთხვევალს იძლეოდა, — ასლა ამ ქონების შოგნა მნელია და თუ შეძენილი არ შევინასეთ, ანტრეპრიზა ან დრამატიული დასის ამსანაგობა, რომელც ამ უამაღ უამისოდაც გაჭირებაშია, ტანისამოსის ქირასაც კედარ აუკა. მაშასადამე მმართველობის ეჭირება ზორნება ამ რაც საგანზე.

მერე თვით მომავალის ანტრეპრიზის შესახებ. რა მოსაზრება ეჭირება დრამატიული საზოგადოებას?

ჯერ უპელაზედ უპირველესად სათეატრო განცხადებიდამ, რომელიც დროებისაში იძენდებოდა, გარკვევით არა სჩანს ამ აპრილში და მომავალ ზამთრის სეზონში ანტრეპრიზაა თუ აქტიორების ამსანაგობა? განცხადებაში მოსსენებულია, რომ ექართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვასათვის და იწყევს დასში შემთხვევის ამსურველთ წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეა (კ. აბაშიძეს). აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ანტრეპრიზაც და აქტიორების ამსანაგობაც, ანუ ორთა შეა მსგავსი რამ. უოკელსაგა შემთხვევაში ცხადად სჩანს, რომ ეს ნამდვილი ანტრეპრიზა არ არის, რადგანაც მასზე განცხადება არას გვეუბნება. ვისურვოთ გულითადი ამ დასის სიგეთე, ვისურვოთ რომ მასში ჩვენი უგეთესი არტისტები შეკრებილ იყვნენ, საჭმე ვარგა წარმართოდესთ. მაგრამ ამსანაგობის თავი იქნება, თუ ანტრეპრიზიორი, აბაშიძე იქნება თუ სხვა ვინმე, ჩვენ სომ ვარგა ვიცით

ჩენი ფულიანობა და უფულობა. რას იზამს ან დასი, ან შეტრეპრენითი თუ კი საჭიროება ღონეს გამოუდგეს და წელს არაფერი არ გაუმაგრებს? ჭერ ეს კარგა ვიცით, რომ ერთხმაში და ოუსეთში უოველ თეატრს უპრეცენდ გარედამ სუბსიდია სულს უბრუნებს და თუნდაც რომ კარგი სრული შემთხვალი ჰქონდეს წარმოდგენებიდამ, თავს უკი იჰქეოს. მერე ჩვენის თვალით ვსედავთ ქართულ თეატრში მოსიარულე სალსის რაოდესობასა. უოველთვის სრული შემთხვალი რომ ჰქონდა თეატრის დასის მოთავეს ან ანტრეპრენიორის, კიდევ როგორც იუო გაუძლევებოდა დასი; მაგრამ რა უნდა ჰქინას, როდესაც ეს ისე არის? ტუვილი იქნება ჩამოთვლა სხვადა სხვა მიზეზებისა, ვითომც სალსი ამიტომ არ იარება თეატრშით, რომ სალში უფერდობათ, პიესები ასლები და კარგები არ არისო, დასი სუსტიათ და სხვა და სხვა. რასაკუროველია, მაგრებს დადა ზედომექმედება აქვს სალსის მიზიდვაზე და შემთხვალზე. მაგრამ დრამატიული საზოგადოება თავის მოვალეობის ასრულებაზე რა პასუხის მომცემი იქნება? საზოგადოების უმიმრესები მოვალეობის ასრულება ის იქნება, უპრეცენდ საქმეები ისე მოაწყოს, რომ ნაძღვილი ანტრეპრიზა გააჩინოს, დაქმართოს დასი ანუ ამსახავობას რომ მისი მოთავე, რომელიც ასლა ნება-უოველობით ვისრულობს სცენის ვაგლასა, ნაძღვილ ანტრეპრიზად აქციოს; ამისთვის მისცეს შემწეობა და სელი გაუმართოს. რაც გვითქვამს წინათ, უკკე ისევ ის უნდა გავიძეოროთ: საზოგადოებამ ანტრეპრიზა უნდა შექმნას.

დააღ, დრამატიულს საზოგადოებას და მისს მმართველობას დანაშაულობა აქვს თვის ვალდებულების აუსრულებლობისათვის. ჩვენში ადრე და ადრე მომატებული სამდურავი მომოდა ჩვენს მწერლებზე, მწერლობაში მშობლეულ მოთავეებზე,

რომ კარგა ვერ ასრულებენ საქმეებში კალდებულებასათ. ეს დღე-  
საც გეხსმის და უკალა რჩებს იძლევა, უკალა ბუზდუნებს, რა  
არის უკელვან თქვენი დღიტერატორები ეჩსირებიან საქმისათ  
და სხვებს გზას უკრავნო, ადგილს არ უთმობენო; განა სა-  
ზოგადოებაში, ჩვენს სალსში კაცები ადარ არიან საქმეს გაუ-  
ძლინენ? — აი ჩამოუცალნენ შარშან ამ საზოგადოების მმართვე-  
ლობას. მაგრამ ძალის ძალათ ამოირჩიეს ვადებ მწერლები,  
რომელნიც ქალაქ გარეთა სცხოვრებენ. დანარჩენ წევრებშია ვინც  
ამოირჩიეს, არაიყრს არ აკეთებენ, ბარემ ჩაჭკლან ეს საზოგა-  
დოება, რომელსაც წესდების ძალით ძირითად უფლება აქვს.  
სად არიან ის ვაჟ-ბატონები, რომელნიც ჭყვირიან მწერლების  
ნაკლელევანებაზე, მათ მოქმედების შეცდომებზე, და როდესაც  
გუდმოდგინებით საქმეს შეელა ეჭირება, იმალებიან კლუბების  
მწვანე სტოლებთან, ყავახანებში და თავის თთხ-გედელში? სად  
ბმანდებიან ის მაღალ მოზრე, შრომის მწყურვალე განათლე-  
ბულნი, უმაღლესის სწავლით შემჯელნი? სად არიან, რატო არ  
გამოვლენ, არ დაქსმარებიან საქვეუნო საქმეებს? აი ასპარეზი  
ცარიელია, რატო არა სჩინნი, რატომ არ გამოვლენ; მწერლე-  
ბი გიწვევენ, მოდით მოგეეშეგელენით ასპარეზი დიდია, და-  
ცლილია, — სადა ხართ? გასსოვთ განა — თქვენი საკუთარი პი-  
როვნობის ანგარიშები, ან ძქნება თავი იმართლოთ თქვენის  
საოჯახო კალდებულებით? თქვენ გვიზნით ამ მწერლებს არც  
თქვენსავით კუჭის მოთხოვნილება სჭირდესთ, არც ოჯახის  
და ცოლ-შვილის კალდებულება ედკათ კასრადა, არც თავის  
ხელობის კალდებულება? საზოგადო სამსახურს მაშ თქვენ მა-  
შინ გასწევთ, როცა გუჭიც მაძღარი გექნებათ, ხელობაც მუქ-  
თა ცხოვრებისა და ოჯახი აკებული უოვლის სიყვოთა. ფა-  
რისეველნო, ვერ აუბამთ თვალს გერავის. თქვენი ღალადება,

თქვენი ქადაგება სხვის ნაკლულებანებაზე, მწერლების ნაკლულებანებაზე, თურმე იმიტომ მოისმის, რომ დაჭვაროთ თქვენი გულის და გონიების სიფუურ და არარაობა! საბოაფონო! არ გესმისო, რომ საქმეთაგან თქვენთა გამოცხადდა თავი თქვენი. რამოდენი ასპარეზია სამუშავო და რა მცირეა მუშავი?!... ადგილი კერ უმოვიათ, გზას უკვრენ!... აი თუ ღონე გაჭირ, გამოდით ამ დრამატიულს ასპარეზზე და ასახელეთ თავი საშედლიშვილოდ სამადლობელ საქმეში. ხომ ბევრს იძახით, უკელას მწერლობა არ შეგვიძლიათ; აი ესეც საქმე. რატო არ დაეხმარებით თეატრის ჩეკვით, საქმების მართვით, მომატებულის უკრადების გამოცხიშლებით საზოგადოებაში.

დიალ, ცედს მდგრამარეობაშია დრამატიულის საზოგადოების საქმეები. მიყრუასულია მას მოქმედებაზე ღაბარავი; საჭიროა მისი მშართველობის განახლება, საჭიროა საზოგადოების გამოცხიშლება თეატრისათვის.

## 3.

1885 წ., 2 აპრილს.

## სახალო ლექსიტი.

ლამაზება სთჭვა: ჩემი ქმარი  
გულით არა მუკარებია —  
არც ლაშქარს წასვლა მწერნა,  
არც მოსვლა გამსარებია.

ზღვაში კურდღელი შეცურდა,  
თან შექვეა მელა ტივითა;  
გოგო, ეგ შენი სურვილი  
მაბრუნებს ხარატივითა.

ბაღჩაშია გადვიხედე,  
ქალი კნახე მწოლიარი, —  
თავით ედგა თეთრი კაშლი,  
ფეხთით უფრო მსხმოდარე.

დავბრუნდა და დაკრირიალდა,  
როგორც წისქვილის ჭარა;  
დედამ რომ შვილი გაზარდოს  
ე მაგრე შენისთანა.

Նյուշա Մյենսա Ծյզատա,  
Մյեն Ճայթջանեար Մյոլուտա:  
Առց Ճոնդա Վորուս Ծածնեա,  
Առց Քառօնուս Ծյուա Սմեռտա.

—  
Երտս Ալացս Շյարիցա Ծամյենեա,  
Ճան Ճյերկյացս Վորիոլուս Մյուրո, —  
Մյ Ծա Մյենսա Տօյյառյոլսա,  
Ճան Ճայթյուրուս Տօյյաճոլուս Մյուրո?

—  
Ըշմիւսա Ճարցսա Ճաճմռայյա,  
Նասրիւմսա Ճյերկնեւսասա —  
Շյըրը Վարք, Վար Մյակչագը  
Ճայյառյաս Իյը Եյծասասա.

—  
Մյեն Ճյենաբյալուս Ծյզառ,  
Մյաճլու, თաք Մյերդյանլու,  
Ճայնուոլու Ծա Ճայյուրյոլու,  
Մյ Քամառ Ծայդյանլու?

—  
Ճումիայաճ Թիյը Ճամցիւյային,  
Ճինճռուս Կռմ Ճոյյոյնյենա,  
Ճյալու, Մյենս Վարիւռուս Մյենտանա,  
Կա Ծյօնճաճ Ծայմանյենա?...

—  
Քասըդա Կյառուս Քայսըլյալուս,  
Առ Ծասանյենա Տանօսա;

კოცნა სჭობს თეორიას ქალისა  
და შერთვა შავგვრემასისა.

ატენის ხეობაზედა  
მე დავგრიფე ბევრი თხილი —  
ლამაზის ცოლის პატრონისა  
უნდა ჰყავდეს ძაღლი ფრთხილი:  
ან უნდა ძაღლი ფრთხილობდეს,  
ან ლამაზის დედიმთილი.

მუშა უნდა მუშაობდეს,  
ქარავანი ქარავნობდეს;  
შენისთანა კარგი ბიჭი  
ქალაქის უნდა ფალავნობდეს.

დაუკარ ჩემო ჩონგურო,  
მიწკარ-მოწკარი ხელიო;  
ხომ კარგად გაიზაფხულე,  
ჯერ კალო, მერე რთველი.

აქედამა კერა გ სედავ  
ნისლისა და ბურვისაგან,  
შენ უჩემოდ როგორა სძლებ,  
მიკვირს შენის გულისაგან,  
სელ-მანდილს გამოგიგზავნი,  
ოქრო მკედით მოქარგულსა,

ହେମ୍ବା ପୁଣ୍ସା ଶିଗ ପାଗିକୀଏ,  
ଶୁନ୍ଦାନ ଲାମିଯାର-ଲାହାପୁଣ୍ସା!...

---

ଅନ୍ତିମିଳିତ ମାତ୍ର ମେନ୍ଟର୍‌ସାଙ୍ଗୀ,  
ଲାଖୀର ଅନ୍ତର୍ଗତ ପିଲାଶାଙ୍କ;  
ବେଳିବ ରା ପାହିଲାରିଲେବା  
ଶୁନିଲେ ଲୁହ-ମଧ୍ୟମିଳେ ମୁହିଲାଶାଙ୍କ!...

---

## კოლიტიქური მიმოხილვა

ეკროპსია მშვიდობითნად დაუსკდა წლეუკანდელს წელსა, თუმცა თან სასელმწიფოს ომი ყელდა, ინგლისს ეგვიპტის სამზღვრებზე, სუდანში და საფანანგეთს ჩინეთში, მაგრამ თვით ეკროპსი არა ჩანდა რა მშვიდობის დამარცველი მიზეზი, რომ რომელსამე სასელმწიფოებში ამტყდარიყო თმიანობა. ინგლისი თავის ძლიერების დასამტკიცებლად ეგვიპტეში, თავის ინდოეთის გზის, სუეზის არხის, დასაცემლად ებრძოდა სუდანის კელურს ხალხებსა, რომ სოულიად შეემუშაო ადგილობრივი ურჩობა; მას ეკროპსის სასელმწიფონი ცილობას არ უწევდნენ. საფრანგეთი აგრეთვე ჩინეთისაგან იბრძოდა ანამის სამეცნის დამორჩილებისათვის, რომ ჩინეთში გზა გაესხნა თავის კაჭრობისათვის და თვით ანამში ფეხი გაემაგრებინა. მასაც არავინ აბრევალებდა ამ ამიანობაში, პირიქით ბისმარკის პოლიტიკა მხარს აძლევდა, თლონდ კი საფრანგეთის უურადღება მოეშორებინა გერმანიის სამზღვრებისაგან, ალზას-ლოტარინგიისაგან. ამ თაოთა სასელმწიფოთა სურვალმა, ეკროპსი გარეთა ქმედებში ადგილების დაპყრობამ, ცოტა არ იყო უინი მოჰკვარა იტალიას და გერმანიას აგრეთვე პარის დუქმა ადგილები ჩაეყდოთ აირივაში ანუ აკსტრალიაში, და კიდეც დამურეს პარის-პარის ადგილები, სავაჭრო სადგურებსაცით, მაგრამ ამაში წინ კინ დაუდგებოდა? თვით ინგლისს სუდანში,

სართუმის ქალაქში, თებერვლის დამდეგს მარცხი მოუვიდა და შეცილებისთვის კედარა მოახერხა რა გერმანიასთან და იტა-ლიასთან. მისი კარები სართუმს უნდა მოშორებოდა და ასაღი-თათბირი უნდა დაეწეო სელმეთორედ სულანში ლაშქრობისათვის. ამ მარცხში, გერმანულ გორდონის სიკვდილმა დიდად შესძრა ინგლისელები და სამინისტრო გლადისტონისა დიდს კიცხვასა და სამდურაკუს მიეცა; ცოტადა აკლდა, კინალამ სამინისტრო შეიცევალა.

ის იუთ ცოტაოდნად დამშვიდდა აუალმაუალი ინგლისის საზოგადოებაში, რომ თებერვლის შირველ რიცხვებში სსკა საჭ-მე მოესმა ჰარლამენტს და საშინელი თავ-ზარი დასცა არამც თუ ინგლისის მმართებლებისას და საფლს, არამედ მრთელის ეპი-ზის ძლიერი უურადღებაც მიიზიდა. ეს ამბავი იუთ; რუსეთის კარი აკლანის სამზღვოებს, ქალაქ ჭერატის უასლოვდებათ, დაჭე-რი ჭის ამ ქალაქისათ, რომელიც უნდოეთში შესავალ კარად ითვლებათ.

საჭმე რაში მდგრამარეობს? აკლანი ანუ აკლანისტანი მდე-ბარეობს ინგლისის საბრძანებელ ინდოეთსა და რუსეთის სამ-ზღვრებ შეა. ჩრდილოეთით სამზღვარი აქვს რუსეთის საბძა-ნებელ თურქმენების ქვეყანა და აღმოსავლეთ-სამხრეთით ინ-დოეთი. ინგლისი, როგორც თავისის მბრძანებლობით, ისე კაჭრობით ძლიერია ინდოეთში და აქედამ სმაცა აქვს და გზა-ცა მრთელს აზიაში. რუსეთი აზიას ძლიერი მოსამზღვრე სა-ხელმწიფოა და აგრეთვე ცდილობს თვისი ბრძანებლობა და კაჭრობა გააძლიეროს. ღრივეს სასელმწიფოას ბინა ეკროპეშია. ინგლისის ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით სამხრეთ აზიაში, ინდოეთში როს ღრმოცვა-და-ათი მილიონი ჭვეშევდრომი ჭუავს, თვითონ ინგლისის სასელმწიფოში კი ღც-და-თოთხმეტ მი-

დიონისი ინგლისი ითვლება. რუსეთს ას სუთ მიღიონამდე ჰქმდებოდა ჰერცეგი, რომელშიაც ოთხმოც მიღიონა რუსი ითვლება, დანარჩენები სხვა-და სხვა სადხებია არიან; მას აზიაში თხუთმეტ მიღიონამდე ჰერცეგი ჰქმდება მიღიონამდე; თუმცა კი ციმბირი ინდოეთზე დიდია, აյ ითვლება მკიდ-რკა მიღიონამდე, ჰერცეგისაში ექვს მიღიონამდე. რუსეთი მოსამზღვეულება აზიასა და როგორც ძლიერს სახელმწიფოს ბუნებითი და ისტორიული მდგრევილება მიზზიდავს აზიაში გავრცელოს თვისი სამზღვრუბი და კატერისა. ამ მიღიოების ძალით იგი აწეს, როგორც აზიას აღმოსავლეთისაკენ, აკრთვე სამხრეთისაკენ, ასმაღლოსაკენ, რომელიც მფლობელობდა და კატაც საკმაოდ მფლობელობს რუსთა მონათესავე ტომის ხალხებზე და რომელზეც მფლობელობს რუსეთის იმპერიას თვის ისტორიულ დანიშნულებად მიახნია. ეს მისი ძლიერების წინ წაწერა, რასაკვირველია ინგლისს ძილს უიყრთსობს და დადს ზორნებაში აგდებს. იგი კერძობს, რომ მისს კრცელს უფლებას აზიაში ძლიერი მობირდაბირე უწენდება. ამისათვის იგი ყოველთვის ერეადა საჭკვეში ასმაღლოსთან ამიანობის დროს ამ მცხოვამეტე საუკუნეში; აწეოდა ასმაღლოს ფელი, ასრალი, რჩევით და ყარიბის ამების დროს 1853—1855 წლებში სომ ცხადათ ბრძოლაც დაუწერ რუსეთს, საფრანგეთი და იტალიაც მიამსრო. უკანასკნელ 1877—1878 წლებში, თუმცა ბრძოლაში კერ გაერთა, მაგრამ მაინც შემწეობა დადი მისცა ასმაღლოსა. მათ, რომ ბოლგარიის სამხრეთი ნაწილი შეარჩენისა ასმაღლოს ბერლინის კონგრესის შემწეობითა. ერთის სიტუაცია ინგლისს დად საფიქრებელად გაუსწედა რუსეთი, რომელიც მაუსედებელად ინგლისის წინააღმდეგობისა, მუდაშ წინ აწეს და თვის სამზღვრებს ნებრეზად განს უმატებს. რუსეთი კარგა სედავს ინგლისის წინააღმდეგად განს უმატებს.

აღმდეგობას და თვისის მხრით ცდილობს მთეაზლოვდეს ინ-  
გლისის სამზღვების ინდუქში, რომ ყოველ შემთხვევაში,  
როდესაც საჭიროება მოითხოვს, იმ სამზღვების დაცვის ში-  
შით ინგლისმა დაუთმოს რუსეთს თვისი მოწადინების ასრუ-  
ლება, რაც მას სწადიან აღმოსავლეთ აზიაში ანუ თსმალეთში.

რუსეთის მოძრაობა კასპიის ზღვის აქია შეაძი-  
აგერ თცი წელიწადი იქნება, რაც დაიწყო. ჯერ დაიშეოს რუ-  
სეთმა ტაშხენტი, მიუხსლოვდა ახალთექებს; 1880 წ. გერქ-  
თეთში აიღო და შარტას 1884 წ. მერვი, რომელიც 500 კვა-  
სის სიმღრეზე იქნება წერატიდამ, ავღანის სამზღვებიდამ. ამ  
რუსეთის მოძრაობის დროს ინგლისი თავის თადარიგს შეუ-  
დგა და ამ თერთმეტის წლის წინათ 1873 წელს მოლაპარა-  
გება იქთნია მისს წინ წაწევაზედ. ამ მოლაპარაკების ძალით  
შირობა შესდგა, რომლითაც რუსეთმა თავისთვის დაიტოვა  
თავისუფალი მოქმედება ავღანის სამზღვებიმდის და ინგლისს  
დაუთმო თვისი ზედ-მოქმედება იქთნიოს ავღანში. უკანასკნელ  
ხანებში, მეტადრე მერვის დაპურობის შემდეგ, საქმე უნდა გა-  
მორკეცულიყო—მასედ თუ ავღანისა და რუსეთის შეა რა  
საზღვრები დაიდგას? ამ განზორახვით ინგლისს ავღანის ამირ-  
თან მოლაპარაკება კრირებოდა უფრო წინათ, მაგრამ ისეთი  
დაკიდარება აუტყდა ავღანთან, რომ ომი უნდა დაეწყო მასთან. ამი  
ისე გათავდა, რომ ავღანი ძალა-უნებულ უნდა მიმხრო-  
ბოდა; ინგლისმა გადმოაგდო ძველი ამირი, დასვა ასალი მთა-  
ვარი და წარსულს წელს ზაფხულს მიჯნის გასაუკანათ გაი-  
სტუმრა თვისი კომისია გენერალ ლემსდენის თავსმჯდომა-  
რეობით. რუსეთის მხრით კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ  
იქნა გენერალი ტელენო.

ლემსდენი თავისის კომისიით და ორი ათასის მცირელის

ინგლისის ჯარით მივიდა აკლანის ჩრდილოეთს და უცდიდა რუსეთის გომისიას. მისია ჩაგონებით იყო, თუ აკლანების საკუთარის ნებით, სანამ რუსეთის კომისია ზელენოის მოთავეობით მივიდოდა, რუსეთის სამზღვრების ასლოს აკლანების ჯარები წინ წამოიწიგნენ ჩრდილოეთისაკენ და მერვისა და ჭირატის შეა ადგილებში ჩაიგდეს ბინა. ეს ადგილები სადაც ადგილები იყო. იგინი აკლანსა და რუსეთს შეა მდებარებენ, რომ მდინარეთა შორის, რომელთაგან ჭირი-რუდი დასაკლეთით უკლის და მურღაბი აღმოსავლეთით. აკლანების ჯარები მურღაბზე გამოჩენენ და დაბინავდნენ სოფელ ფენჭდეში ანუ პენჭდეში. რუსეთში რაგო ნახა რომ სადაც ადგილები, რომელიც ადრე აკლანებს არა სჭირდათ, ასლა აკლანელებს ჭირო დაიკიროს, თვისი ჯარებიც წინ წასწია მეორე მდინარის ჭირი-რუდის დაუღლებაზე და დაიკირა პული-ხათუნი და ზუდუიგარის სეობა.

ამ სადაც ადგილებზე თასავე მხრის ჯარების დაუკარგამ საზღვარ დამდების გომისიის საქმე დააბრკოლა. დააბრკოლა იმით, რომ, როგორც ამბობენ, აკლანებმა დაიკირეს ის ადგილები, რომელშიაც ადრე არაფერი უფლება არა ჭირდათ. მეორედ აჭ, მერვიდამ მოუღლებული კიდოუ ჭირატის ახლოს ჩრდილოეთ მდებარე შარაპამიზის მთებამდე, დასახლებული არიან მეორების სალსის მონათესავე თურქმენები; მეორების თურქმენები და ეს თურქმენები ზაფხულობით ჩრდილოეთ მდებარე მთებამდის შარაპამიზამდე მურღაბის ნაპირ მთებზე ადან, საძოვრად ძიუდისთ ცხვარი და აჭვე მარილის მაღნებით სარგებლობენ. აკლანების დაჭირა ამ მთებისა და მარილის მაღნებისა თურქმენებს ადარ მოასვენებს და ამიტომ რუსეთი ვალად რაცხდა თვის მერვის თურქმენების მშვიდობიანობისათვის ეს ძველთაგანვე.

შეთი საძოვარი ადგილები თავის სამზღვებში მოქმედა. აკლა-  
ნების კარის დაუნება ამ ადგილებში ფენჭები ამ განზონასგას  
შედია. ამიტომ გენერალ კომიტოვის კარებმა დაიწირეს მეო-  
რე მდინარეს ჟერ-რედის ნაპირები შედისთხოთან და პოდ-  
მოლეკურნივის ალისანოვის მიღიცა მივიდა ფენჭებს ახლოს.  
მაგრამ რაჯა ფენჭები აკლანების მეციანულები დახვდა, უკუ-  
იქცა. ამ ალისანოვის მისვლის ამბავმა, რომელიც თებერვლის  
შირველ რიცხვებში მოხდა, დადა ალიაქთოთ ასტერა ინგლისის  
პარლამენტში, ჩაყაყანა გაზეთებდ და პრეზიდის და რუსეთის  
მსართველობათა შეა მიწერ-მოწერა გამართა.

შირველი მინისტრი გლადისტონი გამოსჩენდი სახელმწიფ-  
ო გაცა მრთელს ეკროპაში. მისი მეცადისებლაბ ინგლისის  
მინაგანის ძლიერების, წარმატების და გაუმჯობესების გზას  
ადგას და გარეშე, უცხო სასელმწიდოების საჭმებში გარევას  
ერთდება. ამიტომაც დადა მეცადისებლაბ გასწია ამ ყაფნის  
დროს, რომ დაქომისებინა ინგლისის თავმოუკრებად და  
გაარწმუნა. რომ სამინისტრო დარსეულად აღასრულებს თვისს  
კალებულებას, როგორც მეცის წარმომადგენელი და როგორც  
შემცენის სახელმწიფო ინტერესებისა. ის სცდილობს დამშვი-  
დოს ამფოთებული პარტია, თვისი წინააღმდეგი, რომელიც  
ამისათვის იწყებს მომზადებას, როდესაც კა სადმე რაოდენ-  
სახე მიზეზსა ხედავს ინგლისის ინტერესების დასარღვევლისა,  
ამავე დაშოშმისების დროს გლადისტონის სამინისტრომ, რო-  
გორც გთხვი, მიწერ-მოწერა გამართა რუსეთის სამინისტროს-  
თან. პასუხად მიაღო რუსეთიდამ, რომ რუსის კარები წინ  
არ წაიწეუნ, თუ აკლანები მიზეზს არ მასცემენ და სახამ ფენ-  
ჭები მშვიდობისხდა იქნება. ეს პასუხა რუსეთისა მშვიდო-  
ბისანობის სურვილს ნიშნავდა.

მაგრამ ინგლისი მოუსკენობის მიეცა, მთაწვა აკლანის ამირი აბდურაჟმან-სანი ინდოეთის სამზღვარზე, მეფის მოადგი- ლეს დეფერინთან მოსალაშარავებლად და თადარიგის დასაჭე- რად. მარტის ნახევარში ამირი მიკიდა რავულ-პინდის, დეუქ- რინს მოსთხოვა იუსტი, იარადი, მხოლოდ ინგლისის ჯარე- ბის გატარებაზე აკლანში თქვა, რომ საფხო აჯანყდებათ. ამა- ზე დეფერინმა დაარწმუნა, რომ ინგლისის არა სურს აკლანის დაჭერა და ჯარებს ინგლისი მხოლოდ აკლანის მოთხოვნით შეიუვანს აკლანისტანში, თუ საჭირო იქნება, რომ რესერის ჯარებს შეეძლოდა.

ამასობაში ამბავი მოკიდა აღდგომის დღეებში, რომ ჩვე- ნა გენერალის კომაროვის ჯარებს მარტის 18 ომი ჭირდა აკლანელებთან იუნწდეს ახლოს. საჭმე იმაში მდგომარეობდა, რომ აკლანის ჯარები უკრმე ინგლისების რჩევით წინ წამო- სულიყვნებ და ასაღ ადგილს გამარტებულან და კომაროვის მოთხოვნით უქანვე თავიანთ ადგილს არამც თუ არ დაწეულან არამედ თოთი უსროლიათ ჩენი ჯარისთვის; ამის გამო რესას ჯა- რები დანიშნულ ვადაზე მისულან და ომი ატესილა. რესებს გაუმარჯვნიათ, აკლანელებს სუთასი კაცი დასოცვიათ, დამარ- ცებულან და გაქცეულან. კომაროვის ჯარები ისევ თავის ად- გილს დაბრუნებულან და დაბინავებულან. ამის შემდეგ თვით უნწდები არეულობა მომსდარა და კომაროვს დროებითი შმარ- თველობა დაუნიშნავს. აკლანების ჯარები დამარცხებისა და მე- ტრადიცი დიდის შიმშილის, სიცივის და აკდრებისაგან დაზარა- ლებული ჭრათისავენ წასულან.

ამ ამბავმა რასავეირველია უმეტესად ააფაფანა ინგლისები და შმართებლობას ეკითხებოდნენ, ვის უოფილა პირკედი მი- ზეზი თავ-დასხმისათ? გლადისტონის სამინისტრო მართლა დიდს გაჭირებაში ჩავალდა, მიწერ-მოწერა გააძლიერა რესერის სამინისტროსთან დაწვრილებით საჭმის დასასკენელად. როცა-

ე მხრით რუსეთისა და ინგლისისა სჩანდა მშვიდობასად  
საქმის გათავების სურვილი და გლადიტორის რამდენჯერმე გა-  
მოაცხადა კიდეც, რომ რუსეთის მხრით სჩანს მშვიდობასად  
საქმის დაბოლოვების გაზრდახვაო.

ამ მიწერ-მოწერის დროს ინგლისის და მოთელის კურო-  
ნის საზოგადოება და განეთები დიდის აღმოფოთით და გულ-  
მოდგინებით თვალს ადეკვებენ შეა აზიას საქმეებსა. რადგანაც  
ინგლისის და რუსეთის მიწერ-მოწერა საიდუმლოდ რჩება, გუ-  
ლის ფანცქალით არგვებენ საქმეების მიმდინარეობასა და სწო-  
ნენ ვითარებას საქმიას, ომი მოსდება რუსეთსა და ინგლისს  
შეა თუ არა? რასაკვირველა უოკელთვის ამ გვარ შემთხვევა-  
ში როს მოპირდაპირე სახელმწიფოს როდესაც მოლაპარაკება  
აქვა, ომის მზადებაც ეჭირება. ინგლისში ჯარების მზადების  
ხმა გავარდა, როდესაც დეფორმის ბრძანება გარდაეცა პარ-  
ლამენტის მასკელის ჯარის და მილიციის შეგრებაზე. ინგლისის  
განეთები აწევენ მმართებლობას საჩქაროდ უოკელსავე მზადე-  
ბის შეუდგეს თუ ჯარებისას და თუ საომარ ხომალდებისას. რის ლაპარაკი, რომ კითომც ასმალეთის მმართებლობასთან  
მოლაპარაკება ჰქონდეს ინგლისს, რომ მხარი მისცეს ინ-  
გლისსა რუსებთან ომიანობის დროსა.

მნელი მოსალოდნელა ამ ყამად, რომ ინგლისში ომია-  
ნობა ისურვოს. ბირკელი და თავი მიზეზი ამისა ის არის,  
რომ ჯარი ნაკლებათა ჰქანს. მართალია ინდოეთში როს რა-  
მოც-და-ათ მილიონ ჰგეს შეკრდომზე მბრძანებლობს, მაგრამ ინ-  
დოეთის ხალხი ჯარად კერ გამოუყვანა, შიშობს, რომ მა-  
სი დარიგებული თოვე, ხალხში თვით ინგლისს არ შეუძლიას  
და არ აჯანედეს თავის გასანთავისუფლებლად. მართალია ინ-  
გლისს იმდენი ხომალდი აქვს, რომ დედა-მიწის ზურგზე

უცნდა სასელმწიფოების ხომალდების რიცხვს უდრის, მაგრამ საომარი ხომალდი საკლებათა აქვს და თუნდაც სსკებზე მკრიც ჭრონდეს, უჯარო ხომალდი კერას დააკლებს ხმელეთზე ძლიერს ძღვომ ჯარსა. ამ გვარად ხმელეთის თუ ზღვის ჯარის ნაკლებობა მას ხელ-ფეხს უკრავს დიდის ომის გამართვისათვის, რომელიც მას რესერთთან შოუხდება, თუ განიზრასა. მისი ჯარის რიცხვს თხხას ათასამდე სთვლიან, მაშინ როდესაც რესერთს მიღიღნამდე ჰყავს.

ამ გარემოებაში ინგლისს დაეხმარებოდენ ზოგიერთი სხვა სასელმწიფოები, როგორც უირიმის ომის დროს. მაგრამ ინგლისი ესლა კურ მთიპოვებს ამ შემწეობასა.

ჯერ თვით ავღანის ჯარები, თუმცა, როგორც ამბობენ 50 ათასამდე არისო, კარგა გაწერთნილი არ არის. ავღანის ხუთი მილიონი ხალხი, მეომარი, მსნე, გამშედავი ხალხია, მისი ჯარიც გამშედავი და მსნეა, როგორც გამოსწენდა ინგლისებთან ომის დროს, მაგრამ ეკრანზიულად გაწერთნილ და სასწავლ ჯარს კურ გაუმაგრდება დიდ ხასს, თუნდაც რომ ინგლისებმა კარგი იარაღი დაურიგონ. ოსმალოს იმედი საექვთა ინგლისისათვის, ჩმიტომ რომ უოკელ ომის შემდეგ, რომელიც ინგლისის შირდაშირის ანუ ფარულის დახმარებით ოსმალეთს მოსვლია რესერთთან, მას არა ვითარი სარგებლობა არ უნახავს: უირიმის ომების დროს, როდესაც საფრანგეთის ძლიერი ჯარი ინგლისის ჯარებით ეხმარებოდნენ. ოსმალოს, გამარჯვეს კიდეც რესერთზე, მაგრამ თითქმის არაფერი სარგებლობა არ ნახა. ამ უამად თავის ასმალოს როი დიდი შიში აწუხებს თვით თავის ეკრანში სამზღვრებზე. მას აკსტრიამ სრულიად უომარად წაართვა ბოსნია და გერცოგოვინა, უინი აქვს საფონიის ზღვისაგნ ატესილი, ოსმალოს მცირეოდენ ომის გადახდის

შემდეგ აკსტრია უპირელად ისევე მოიცევა, როგორც უპანას-  
ქნელ ომის შემდეგ. აკსტრიას ამაში მომხრეთ და წამქეზებ-  
ლად ეყოლება გერმანია. მეორეს მხრით თვით სლავიანების  
შატრა სასელმწიფოები, ბოლგარია, სერბია და ჩერნოვრორია,  
უპირელად ისმალის დაქსმიან თავის მიჯნების გასაგანერებ-  
ლად. აკსტრიამ თუნდაც დაუშადოს, სალხის მღელებისაც  
მნელად დააუკისებს ამ სახელმწიფოებში და იქნება თვისის კა-  
რების შეუპანის მიზეზადაც გახადოს, როგორც მარჯვე დროს  
იპოვის, ესე იგი როდესაც ქსელი არეულიბისა გარეტელდება  
და ამიანობის, დიდის ამიანობის შიშა აღარ კქნება ვისთან.  
მე. ამასთანავე ნუ დავივიწყებო, რომ ისმალო გულ-ნაკლუ-  
ლად არის ინგლისები, რადგანაც ეგვიპტეში უკანასკნელ ხა-  
ნებში მან სრულებით ძალა წაართვა. აგრეთვე მხედველობაში  
უნდა მივითოთ, რომ ისმალოს დიდ-ძალი კალი აწეს და  
უფერებელია წელს სწერეს. ეს უკლა მიზეზები ისეთი საყურა-  
დღებოა, რომ სრულებით უკანასკნელი განწირულება თუ მი-  
მოქვანის ინგლისთან დაკავშირებამდის, რომ ან ჭრ და ან არა,  
თორებ სხვა ანგარიში მას სელს კერ უმართავს. იქნება ამი-  
ტომაც მართალი იყოს გაზეთების ამბავი, რომ ხონთქრის  
მმართებლობას ინგლისის გავშირზე უარი უთქვამსო.

რაც შეეხება სხვა სასელმწიფოებს, ინგლისს არც კრთი  
არ მიუდგება. აკსტრიას ამ ქამად არც გარემოება და არც სურ-  
ჟილი ეტერია რესეთიან ამისა; ამასთან მას ჭლავმავს ბის-  
მარვი, რომელიც მსოლოდ საპლატივო ქსელის ძაფებსა  
სცარავს და ბურდნის და შორიდაც გერმანიას თამაშას აუგრე-  
ბინებს. საფრანგეთს მომავალში გერმანიასთან ანგარიშების  
გასწორებისთვის ეგულება რუსეთის. მოშერება და არ მოი-  
სურვეს მასთან უკმაყოფილების ჩამოგდებასა.

ამ გვარად ინგლისის ეპროპაში ძღვირ სახელმწიფოთა-  
გან არავინ არ მიემსრობა. თუ მაინცა და მაინც ასმალო მი-  
იმსრო, მისი ჯარები ინგლისის ჯარებთან ერთად რუსეთის  
ძალასთან გერას გახდებან; ამ შემთხვევაში მხოლოდ შეუძლია  
ბალტიის და შავი ზღვის ნაპირები შექვრას, რუსეთის ვაჭრო-  
ბა შეაუწიოს; მაგრამ სრულიად გზას ვერ შეუკრავს, რადგანაც  
გერმანიის და ავსტრიის სამზღვები ღია ექნება. ეს ღონე  
ისეთი ძღვირი არ იქნება რუსეთისათვის, რომ იგი დაწყებუ-  
ს ინგლისის განზიახულს სურვილსა, მაშასადამე რუსეთს შეუ-  
ძლია დიდ სანს გაუმაგრდეს. ამ სანგრძლივს უომარ-ომიანო-  
ბის დროს ინგლისის ჯარი რომ რომელსამე ზღვის შირას  
ან ასმალოს სამზღვებზე ადგილებში შევიდეს და დაიწიროს,  
მაინც და მაინც ბოლოს რუსეთის რიცხვ-მრავალი ჯარი დაი-  
ბრუნებს. ამ გეარად, რაც უნდა უფულობა და უკაჭრობა იყოს,  
რუსეთი შეუმაგრდება ამას, მით უმეტეს, რომ უოკელ-გვარი  
მოსავალი თვით რუსეთისა ჩადისის უმრავლესობას დააგმაფი-  
ფილებს. სანგრძლივის ამ გვარ უომარ-ომიანობით ვერც ინ-  
გლისი იქნება მოგებაში და ბოლო ის მოჰკებება, რომ რუსეთის  
უნდა დაუთმოს ის, რაც მას ახლა სწადიან.

ინგლისი ასმალეთითურთ რომ შემომღლოს რუსეთია, მაინც  
და მაინც რუსეთის მოპირდაპირეს უმეტესი ძალა და ხარჯი  
დაადგება, ვიდრე რუსეთსა, რადგანაც რუსის ჯარი თავის  
სამზღვებზე, თავის ბინაზე დაგება; ინგლისის კი შორიდამ  
გამოლაშქრება დასკირდება. ამის გამო რუსეთი ეს ისე დიდად  
და ძვირად არ დაუჯდება, როგორც უკანასკნელი ღმი ასმა-  
ლეთში, როდესაც მას ჯარების შეუქანა მოუხდა სკანთქის  
საბრძანებელში.

მაშასადამე, რომელის მხრიდამაც უნდა გავსინჯოთ რუ-

სეთის და ინგლისის ესლანდენი ცილობა, ამ ქამად არ შეაძლება ომს მოჰყვოდეთ. მართალია ინგლისს ფული აქვს, მაგრამ მისი განკორებული მდგომარეობა აშკარაა, ჯარი არა ჰყავს. რუსეთს ფული უკირს, მაგრამ უფლობრივი გულ შეუძლებებს სახელმწიფოს ომიანობაზე, როდესაც მას რცეს მრავალი მეომარი ჰყავს.

ბოლოს თვით საგანი ცილობისა ჭერ ისე დაღ-მნაშვნელობისა არ არის, რომ თრმავე სახელმწიფომ უოგელი თვითი ძალ-ლონე მოანდობს ფიცქელ ტმს, და ამ ტმს მიანდოს თვისი უოფნა. გლოდსტონის პოლიტიკას ინგლისები ჰყიცხვენ მისოვის, რომ იგი გუდ-დამშვიდებული უფერებს რუსეთის სამზღვოების განზე გაწევას ავლანისავენ, ამ წარჩინებულის სახელმწიფო გაცის აზრით ინგლისი ძლიერია; აზიაში დადი გრცელი ადგალია ინგლისისათვისაც და რუსეთისათვისაცა. და თრმავე სახელმწიფომ კაციონიობის სასიცუთოდ, გელურ ხალხებში შეიტანონ მოქალაქეობა, კვრობის განათლება, უოფა-ცხოვრების უკეთესად მოწყობა, სიმართლე და მშეოდნებისათვათ. გლოდსტონს ჰყიცხავენ ინგლისის მოწინააღმდეგებარტიკიბი, რომ შორის-მსედველობა გაკლიაო, რუსეთი ინდოეთს უასლოვდება — უნდა აგვიჯანებას ინდოეთის ხალხია, რომ ჩვენს ძლიერების ბოლო მოუღოს აზაშია, კვრობის მისაღეთის სამუჯლობელო ხელთ იგდოს, დაისაგუთოს შავი ზღვა სრულებათ და მცირე აზიაში გაძლიერდესო; რაღა იქნება ინგლისი უინდოეთოთ? პატარა კვრობის სახელმწიფო უნდა აქციოვო?

ჩვენ ეს რაცა ვჭითქვით, ჩვენამდე მოხწეულ გაზეთების სიტუაცია ესთქვით. გაზეთების თვალი, თუმცა ზოგჯერ შორისა ჸსწვდება ხალმე, მაგრამ ხანდისხან დიპლომატია მსოფ-

ლიო საქმებს ისეთს ფარდას ააფარებს ხოლმე, რომ გამ-  
ჭრიასა და გაივაციცებული თვალი გაზეოთისაც ვერას დაინავა.

ეს კი, რომ ჩვენა გვერდია, ამი ინგლისსა და რუსეთს  
შეს ამ ახლო სანში არ ასტყდება.

პ. ი.

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს  
„ღრმებაზე“  
1885 წლისათვის

თბილისში — «დოკუმენტის» რედაქციაში; ქუთაისში — მშ.  
ჭიათურების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან;  
თელავში — კანო რასტომაშვილთან; გორში — ალალო თუ-  
თავეთან.

ფასი გაზეთისა მთელის წლით — 9 მან., 6 თვით 5 მან.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოლ არიან  
გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა  
ურნალს

„ივერიაზე“

ვინც ცალკე დაბარებს მთელის 1885 წლით უკრნალს  
«ივერიას», უხდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი  
მანათი (სოფლის მასწავლებელთავის სუთი მანათი) «დოკუ-  
მენტის» რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію  
«Дроеба» аნუ Въ Редакцію журнала «Иверія».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს, მუქდლის «დოკუმენტის» და  
«ივერია» კრთის წერილით დაბაროს და ამისთვის ხვედრი  
ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დოკუმენტისგვე» ადრესით.

რედაქცია «ივერიისა» ჭისთხოვს მათ, ვისაც წერილების  
და სტატიების გამო საჭმე ექმნება რედაქციასთან, მიწმართონ  
თვითონ რედაქტორს უოველ-დღე დილის რვა საათიდამ დი-  
ჭისკე ათს საათამდე გარდა კვირა დღეებისა და უქმებისა —  
ასალ ბებუთოვის ჭუაზედ, სახლი № 1.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

უკრნალი «ნობათი»-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საუფელთვეო ყრმათა საკითხავი სურათებიანი უკრნალი

### „ნ რ გ ს თ ი“

შედაგოგიურის ნაწილის დამატებით — მშობელთა და აღმზრდელთათვის — მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე შროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორადაც 1884 წ.

უკრნალზე ხელის-მოწერა. წლიური ფასი უკრნალი «ნობათი»-სა — ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტი ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათ შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-და-პირებელად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათი — მასში; რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჭიათ, პირ-და-პირ რე-დაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში — უკრნალ «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, საზინის გიგა-დით, თუმანიშვილების სასლში № 7. და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. ჭუთაისში — მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში-გორში — ეპ. ფურცელაძესთან და თელავში — ივ. როსტომა-შვილთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, въ редакцію грузин-скаго педагогического журнала «Н о б а т и».

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ლულაძე.

გაიხსნა ხელის-მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

### „მწყემსი და რეალისტი“

და «მწყემსი»-ს რესულ თემის დამატებაში.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატეობინოს სამღვდელო და საერთო წოდებას უკარგულება და მოქმედება უძალლესთა სასულიერო და სასორციელო მართველობათა, კასსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესძლო იქნება; 2) გააკრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და საფხეში საღირეოსტურო ცალდნა; 3) გააკრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერთო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობითი კეთილდღი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუსსნას და განუმარტოს სამღვდელო და საევლებით მოსამსახურე პირთა ზღვიერთი საეჭვო კითხებია, რომელთა ცოდნა მიუწილებელ საჭიროებას შეადგენს მათვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოვა წარსული წლების მსგავსად, ორ კვირაში ერთხელ, ორ საბჭოდავ ქაღალდის ფურცელზე.

რესული დამატება «მწყემსი»-სავე პროგრამით და მართულებით გამოვა ორ საბჭოდავ ქაღალდის ფურცელზე — თემი თითოვენ.

«მწყემსი»-ს ფასი მოკლი წლის გაზაგნით — ხეთი მანათი. ნახევარი წლის — სამი მანათი. «მწყემსი»-ს ფასი რესული თვიური დამატებით ერთი წლისა ექვსი მანათი, ნახევარი წლისა ოთხი მანათი. ცალკე რესული დამატების ფასი წლისა — სამი მანათი, ნახევარი წლისა ორი მანათი.

წერილები და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმუოთება დასა უკირილაში, რედაქტორის საკუთარ სასლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирили, въ редакцію «МЦКЕМСИ». (უკირილაში, «მწყემსი»-ს რედაქციაში.)

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРЕНИЕ“  
 (годъ пятый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить въ 1885 г. по чтвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по прежней программѣ,

при содѣйствіи многихъ прежнихъ и пѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ, въ томъ числѣ: К. Д. Апциферова, А. Я. Ашеберга, С. М. Арцруни, Ф. К. Бакало, Д. З. Бакрадзе, О. А. Быкова, Г. О. Івинієва, А. А. Гребенщикова, Я. И. Гурлянда, К. В. Долгова, И. Я. Долголепко, Г. А. Джаншіева, Д. И. Кишани, Д. В. Квиркеліа, П. М. Лебединскаго, А. Е. Носа, П. А. Опочицца, Я. И. Рамета, М. А. Селитренникова, Н. П. Смиттепа, В. Д. Спасовича, А. Т. Тимановскаго, Я. Г. Теръ-Іоаписяна, В. Л. Хлѣбникова, Н. И. Чижевскаго и др.

Независимо статей общаго юридического характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права и судопроизводства, межевымъ, потаріальнымъ, судебно-военнымъ и пр., а также о внутренней жизни Кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня,—въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей; ихъ адаты и пр.—Кромѣ того, Ст. I. Гулліпамбаровъ, Н. А. Шавровъ и др. обѣщали статьи по вопросамъ Финансовымъ и экономическимъ; П. И. Коваленскій, З. А. Блюмъ, Г. И. Еджубовъ, А. А. Павловскій и др.—по судебнo-медицинскимъ.

Пріемъ подписки,, объявленій и розничная продажа:  
 Тифлісь Сололакская ул., д. кн. меликова и въ Центральной  
 Книжной торговлѣ.

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р., па 6 мѣс.—6 р., па 3 мѣс.—3 р. 20 к., на мѣс.—1 р. 25 к.

Рассрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ и полугодовыхъ подписчиковъ.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе годы уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб.

Иногородные подписчики «Юрид. Обозр.» имѣютъ право на полученіе, чрезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судебн. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, письменныя и телеграфныя—по соглашенію съ редакціею журнала.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

---

o 383  
1885

## განცხადება.

ამა 1885 წელს ქუთანალს «ივერიაზე» ხელის მოწერა  
რა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შეიძი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიასა» აკრეობე  
«დროების» რედაქციებში. ჰირველი იმურსება მიხეილოვას  
ჭუხაზე, გ. ჭართველი შეიღის სახლებში, (მისაკალი ქზოდა),  
სოლო მეორე სასახლის ჭუხაზე, სახლი დ. სარაჭი შეიღისა.

მუთაის ში, პილაძის მაფაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მას-  
წავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ჭალაქ გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და შემ-  
ჯების ადრესით უნდა გამოგზავნოს:

### Въ Тифлис

Въ Редакцио журнала «ИВЕРИЯ» ано «ДРОЭБА»

მსურველთ. შეუძლიან ერთის წერილით დაისართს გაზეთი  
დღოება, და უურნალი ივერია დღოების, ადრესით.

ვისაც უურნალი თავის დროზედ არ მიუკიდეს, ვთხოვთ,  
მალე აცნობოს რედაქციას.